



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

07 ოქტომბერი 2008 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სასამართლოს დასახელება
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა

თავმჯდომარე, მომხსენებელი: ნანა კობახიძე
მოსამართლეები: ივანე ლლონტი
ჯუმბერ რუსიაშვილი
სხდომის მდივანი: ვიქტორ ჩანქსელიანი

აპელანტი:

(... გამოცხადდა)

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია)

წარმომადგენელი:

მოწინააღმდეგე მხარე: რუსთავის საქალაქო სასამართლო (არ გამოცხადდა)
დავის საგანი: საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

2004 წლის 01 მარტს, განცხადებით მიმართა რუსთავის საქალაქო და წალკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეებს და მოითხოვა სასამართლოებიდან საჯარო ინფორმაციის მიღება, კერძოდ, აღნიშნულ სასამართლოებში მისი განცხადების შემოსვლის პერიოდისათვის უკანასკნელად რეგისტრირებული ერთი შპს, ერთი ს/ს, ერთი სპს, ერთი კს, ერთი კოოპერატივისა და ერთი კავშირის ასოციაციის შესახებ რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის სასამართლოს მიერ დამოწმებული ასლი, რაც გახდა მათი სასამართლოში რეგისტრაციის კანონიერი საფუძველი. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა ეცნობებინათ მისთვის 2003 წლის 10 დეკემბრამდე წარუდგინა თუ არა სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს და საქართველოს

პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიში და აღნიშნული ანგარიშების სათანადო წესით დამოწმებული ასლების მისთვის გადაგზავნა. მოითხოვა ეცნობოს სასამართლოსთან შრომით ურთიერთობაში მყოფი საჯარო მოსამსახურეები მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ეცნობიან თუ არა შრომის უსაფრთხოებისა და ტექნიკის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების მოქმედ ინსტრუქციებს და ფრთხილდებიან თუ არა ისინი წერილობით აღნიშნული ინსტრუქციის გაცნობის თაობაზე. ასევე ეცნობებიანთ აღნიშნულ სასამართლოებში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მისი კოორდინატების მითითებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 24 მარტის წერილით განმცხადებელ ეცნობა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლო ყოველ კვარტალში ერთხელ წარადგენს სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების და საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტებში. აგრეთვე, რეგისტრირებული კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების დადგენილებები ეგზავნებათ ბეჭდვით ორგანოებს. ამასთან იმ საფუძველით, რომ რეგისტრირებული სამეწარმეო და არასამეწარმეო პირების რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია შეიცავს მის დამფუძნებელ პირთა პერსონალურ ინფორმაციას „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 44-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის გაცემა დაუშვებელია თვით ამ პირთა თანხმობის გარეშე და აღნიშნულის ხელმისაწვდომობა შესაძლებელია სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად, პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით. სასამართლომ განმცხადებელს მოსთხოვა დამატებით, კონკრეტული ინფორმაციის წარდგენა, თუ რა სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად ესაჭიროება აღნიშნული. განმცხადებელს აგრეთვე ეცნობა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს საჯარო მოხელეები ტექნიკური ზედამხედველის, მიერ გაცნობილნი არიან შრომის უსაფრთხოებისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების მოქმედ ინსტრუქციებს, ხოლო საჯარო ინფორმაციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ საჯარო მოხელეს წარმოადგენს კანცელარიის გამგე

2004 წლის 19 აპრილს, სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოპასუხე რუსთავის საქალაქო სასამართლოსაგან მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული პასუხის გაუქმება მის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის პერსონალურ ინფორმაციად მიჩნევის თაობაზე და მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გადაგზავნა, იმ საფუძველით, რომ მას შემდეგ, რაც რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2004 წლის 17 მარტს დეკრეტით აცნობა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცემოდა მოძიების და დამუშავების შემდგომ, სასამართლოსადმი, როგორც საჯარო დაწესებულებისადმი წარმოეშვა კანონიერი ნდობის უფლება, რითაც მან აიღო ვალდებულება მოთხოვნილი ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადებში გადაცემის შესრულებაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე სასამართლო ვალდებული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ეცნობებინა დაუყოვნებლივ.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 23 აპრილის განჩინებით აღნიშნული სასარჩელო განცხადება გადაეგზავნა უფლებამოსილ რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

2004 წლის 6 ივლისს, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის, ნაწილობრივი დაზუსტების და მოსამართლის აცილების მოთხოვნით, კერძოდ, მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 24 მარტით დათარიღებული № წერილის მესამე და მეოთხე აბზაცის ბათილობა, 17

მარტის სატელეგრაფო შეტყობინების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულების შესრულება, კერძოდ, მისი განცხადების სასამართლოში მიღების პერიოდისათვის სასამართლოში უკანასკნელად რეგისტრირებული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა შესახებ არსებული ყველა იმ დოკუმენტის სასამართლოს მიერ დამოწმებული ასლების გადაცემა, რაც გახდა მოპასუხე სასამართლოში ზემოთ მითითებული იურიდიულ პირთა შესახებ რეგისტრაციის წინაპირობა და კანონიერი საფუძველი, მოთხოვნილი ინფორმაციის პერსონალურ ინფორმაციად მიჩნევის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მის მიერ შედგენილი საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისათვის გადაგზავნილი 2003 წლის 10 დეკემბრის ანგარიშის დამოწმებული ასლის დაუყოვნებლივ გადაცემა, ასევე ყოველწლიურად მისთვის 10 დეკემბრისათვის, საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი ანგარიშის ასლის გადაგზავნა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 4.4 მუხლის თანახმად, მართალია ნებისმიერ პირს შეუძლია გაეცნოს სამეწარმეო რეესტრს, მიიღოს რეესტრის ამონაწერი, მაგრამ მოსარჩელის მოთხოვნა ეხება არა რეესტრის მონაცემების მიღებას, არამედ ყველა იმ დოკუმენტების ასლების გადაგზავნას, რომელიც საფუძველად დაედო ამა თუ იმ საზოგადოების რეგისტრაციას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 44-ე და 45-ე მუხლების მოთხოვნებიდან გამომდინარე და სასამართლოს მიერ რეგისტრირებული სამეწარმეო /კომერციული/ და არასამეწარმეო /არაკომერციული/ პირების რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია შეიცავს მის დამფუძნებელ პირთა პერსონალურ ინფორმაციას, რომლის გაცემაც დაუშვებელია თვით ამ პირის თანხმობის გარეშე. ხოლო რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას, სასამართლომ მას გადაუგზავნოს საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის გადაგზავნილი ანგარიშის ასლი აღნიშნული მოთხოვნაც უკანონოა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

მოპასუხის წარმომადგენელმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის გადაგზავნილი ანგარიშის ასლის გაცემის თაობაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით ი. პეტრიაშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის განჩინებით ივანე პეტრიაშვილის სააპელაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად მხარეთა გამოუცხადებლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული.

ივანე პეტრიაშვილის კერძო საჩივრის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ივნისის განჩინებით კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 01 ივლისის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა: ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს საპროცესო უფლებამონაცვლედ სამეწარმეო სუბიექტების სარეგისტრაციო მასალების სრულყოფილი ასლების მოთხოვნის ნაწილში დადგენილ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განიხილა საქმის მასალები, მოისმინა მოწინააღმდეგე მხარის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) წარმომადგენლის ახსნა-განმარტება, თვლის, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

დადგენილია, რომ სარჩელით ითხოვს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 24 მარტით დათარიღებული № წერილის მესამე და მეოთხე აბზაცის ბათილობას, 17 მარტის სატელეგრაფო შეტყობინების შესაბამისად ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, კერძოდ, მისი განცხადების სასამართლოში მიღების პერიოდისათვის სასამართლოში უკანასკნელად რეგისტრირებული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა შესახებ არსებული ყველა იმ დოკუმენტის სასამართლოს მიერ დამოწმებული ასლების გადაცემას, რაც გახდა მოპასუხე სასამართლოში ზემოთ მითითებული იურიდიულ პირთა შესახებ რეგისტრაციის წინაპირობა და კანონიერი საფუძველი, მოთხოვნილი ინფორმაციის პერსონალურ ინფორმაციად მიჩნევის ბათილად ცნობას და მოპასუხისათვის მის მიერ შედგენილი საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისათვის გადაგზავნილი 2003 წლის 10 დეკემბრის ანგარიშის დამოწმებული ასლის დაუყოვნებლივ გადაცემას, ასევე ყოველწლიურად მისთვის 10 დეკემბრისათვის, საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი ანგარიშის ასლის გადაგზავნას.

სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია (დოკუმენტაცია) შეიცავს მის დამფუძნებელ პირთა პერსონალურ ინფორმაციას, რომლის გაცემის შესაძლებლობას შესაბამისი პირის სანოტარი წესით დამოწმებული თანხმობის გარეშე, გამორიცხავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 44-ე და 45-ე მუხლების დანაწესი. დადგენილია, რომ მოსარჩელე მიერ ამავე ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულება, კერძოდ, სასამართლოსათვის წარედგინა სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობა ან ინფორმაცია თუ რა სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად ესაჭიროებოდა სასამართლოში რეგისტრირებულ პირთა მონაცემები, შესრულებული არ იქნა.

ამდენად, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მართებულია სასამართლოს მოსაზრება სარჩელზე, კერძოდ, განცხადების სასამართლოში მიღების პერიოდისათვის

სასამართლოში უკანასკნელად რეგისტრირებული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა შესახებ არსებული ყველა იმ დოკუმენტის სასამართლოს მიერ დამოწმებული ასლების გადაცემის, რაც გახდა მოპასუხე სასამართლოში ზემოთ მითითებული იურიდიულ პირთა შესახებ რეგისტრაციის წინაპირობა და კანონიერი საფუძველი, უარის თქმის თაობაზე.

დასახელებული საფუძვლებზე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ბ“ პუნქტზე მითითებით, პალატა ასევე იზიარებს სასამართლოს მოსაზრებას და თვლის, რომ მოსარჩელეს კანონიერად ეთქვა უარი საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისათვის გადაგზავნილი 2003 წლის 10 დეკემბრის ანგარიშის დამოწმებული ასლის დაუყოვნებლივ გადაცემის, ასევე ყოველწლიურად მისთვის 10 დეკემბრისათვის, საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი ანგარიშის ასლის გადაგზავნის მოთხოვნაზე, ვინაიდან მითითებული ნორმის თანახმად, წარსადგენი ანგარიში ასევე შეიცავს საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე ინფორმაციას, რომლის გაცემასაც გამორიცხავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ზემოთ დასახელებული ნორმები.

მითითებულ გარემოებათა გათვალისწინებით პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, მე-13, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 386-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება.
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მდებარე ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (გრ. რობაქიძის 7ა).

თავმჯდომარე:



ნანა კობახიძე

მოსამართლეები:



ჯუმბურ რუსიაშვილი

ივანე ღლონტი